შეთანხმება №04/1

(2020 წლის 14 იანვრის №04 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე)

ქ. რუსთავი **31 იანვარი 2020 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,გვიმრაძე და კომპანია" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გურამ გვიმრაძის სახით, მოქმედი კანონმდებლობის და მხარეთა შორის 2020 წლის 14 იანვარს გაფორმებული №04 ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1. პუნქტის საფუძველზე და მე-9 მუხლის 9.3. და 9.4. პუნქტების გათვალისწინებით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება №04 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1. პუნქტით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტში მ.შ. რაოდენობაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „1.1. გაერთიანების №17 და №33 ფილიალებისათვის საჭირო თხევადი პროპანი, სულ - 110 (ას ათი) კგ. CPV09122110 (შემდგომში საქონელი)"

2. შევიდეს ცვლილება №04 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში და 2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 330,00 (სამას ოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით, მ.შ. ერთი კგ. თხევადი პროპანის ღირებულება 3 (სამი) ლარი."

3. შევიდეს ცვლილება №04 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2. და 3.3. პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „3.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე;"

   „3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან/წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში;"

4. შევიდეს ცვლილება №04 ხელშეკრულების მე-4 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ 5.1. ცალკეული ეტაპზე, ფილიალების მიხედვით, მიწოდებული საქონლის მიღება განხორციელდება, სასაქონლო ზედნადებისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

   5.2. ფილიალების მიხედვით მიწოდებული საქონლის მიღება განხორციელდება, სასაქონლო ზედნადებებისა და მხარეთა შორის გაფორმებული, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე;

   5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები: ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების ინფრასტრუქტურისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის გან-ბის სპეციალისტი მალხაზ კულიჯანოვი, შესაბამისი ფილიალის გამგე და სამეურნეო ნაწილის გამგე;

   5.4. 5.1. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტი."

5. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა, რომელსაც არ შეხებია წინამდებარე ცვლილება, რჩება უცვლელად;
6. ცვლილება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს მხარეთა შორის 2020 წლის 14 იანვარს გაფორმებული №04 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“	შპს ,,გვიმრაძე და კომპანია“
მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20	მის: ქ. რუსთავი დ გარეჯის 25ა
ს/კ 216439325	ს/კ: 216288899
სახელმწიფო ხაზინა	სს ,, თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდიTBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE46TB7363036020100002
დირექტორი	დირექტორი
ეკატერინა ხუციშვილი	გოდერძი გოგილაშვილი

KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Date: 2020.01.31 10:26:17 +04'00'

Guram Gvimradze
Digitally signed by Guram Gvimradze
Date: 2020.01.31 14:58:59 +04'00'